დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „Front-end დეველოპმენტი“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: რუსუდან ყიფიანი

წევრები:

ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღის"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

ა.წ. 27 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით კერძოდ, ვიზიტის მიზანი იყო: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ში “Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტთან შესაბამისობის შემოწმება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში" ვიზიტის შესახებ გამოიცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის12 მარტის N269265 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი.

2025 წლის 27 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ/პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგის ექსპერტმა განახორციელეს სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ში პროგრამული სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განხილული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა,

ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია და შეიმუშავეს რეკომენდაციები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მობილიზებით. 2025 წლის 27 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გამოვლენილა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

- კოლეჯის პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულების თანდართული თანამდებობრივი ინსტრუქცია და დანართები სასურველია მოიცავდეს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერებს.
- დაწესებულებაში შიდა მარეგულირებლ დოკუმენტაციაში დუბლირებებისა და ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრისა და მომავალში თავიდან აცილების მიზნით სასურველია გადაიხედოს და ტექნიკურად გაიმართოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი პროცედურები, კერძოდ:

ინდიკატორების მიხედვით განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.2.1.3. ვიზიტის პროცესში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე სასურველია განმახორციელებელ პერსონალს ჩაუტარდეს დამატებითი ინსტრუქტაჟი ვალიდაციის პროცესთან დაკავშირებით.

2.3.1.2. 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მუხლი 6 პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაში ცვლილებების შეტანა სასურველია მე-4 და მე-8 პუნქტები მოვიდეს შესაბამისობაში და დაკონკრეტდეს მე-4 პუნქტის ჩანაწერი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია...). პუნქტები ურთიერთწინააღმდეგობაშია.

2.4.1.2. 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) მიმართულების პროგრამის ფარგლებში. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ან მის უფლებამონაცვლეს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა“ სასურველი მოვიდეს ამავე წესის მე-6 მუხლთან „მობილობა (შიდა და გარე მობილობა)“ და დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2.4.1.2. 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს: თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე კოლეჯში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.“ სასურველი აღნიშნულ მუხლშიც დაკონკრეტდეს მობილობის უფლებით სარგებლობა.

2.4.1.2. 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მუხლი 10 არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ლექციიდან გათავისუფლების საკითხებს. სასურველია დაკონკრეტდეს აღიშნული წარმოადგენს თუ არა ამავე წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლის საფუძველს ან/და განისაზღვროს გათავისუფლების შემდგომი რეაგირების მექანიზმი.

2.4.2.1. რეკომენდირებულია უფრო დეტალურად გაიწეროს ვალიდაციის პროცესი. წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-14 მულის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს: „პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.“ სასურველია დაკონკრეტდეს იმ მოდულების შეფასების ვალიდაციის პროცესი, რომელსაც ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი;
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	17/02/2025 N 01-04/29
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარა, ქ. ქობულეთი, რუსთაველის No154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ის დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ შესაბამისად (უკანასკნელი ცვლილება პროცედურაში განხორციელდა 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება). დაწესებულების მეთოდოლოგიის მეორე მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების მექანიზმებს. აღნიშნული მუხლის შესაბამისად პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა. რაც შეეხება ინიცირების ფორმას, პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისა და მართვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. დაწესებულებას 2024 წლის 14 ნოემბრის N01-04/202 ბრძანებით შექმნილი აქვს ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, მათ შორის წინამდებარე Front-end დეველოპმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ბრძანება დაწესებულებას წარდგენილი აქვს თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე დამატებით წარმოადგინეს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია (სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 18 ნოემბრის ოქმი N1, 2024 წლის 03 დეკემბრის ოქმი N2 და 2025 წლის 17 იანვრის ოქმი N3).

დაწესებულება განსაზღვრავს, პროგრამის ინიცირების საფუძველი ასევე შეიძლება იყოს გარემოება, რომ კოლეჯის სამოქმედო არეალში არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.) წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევის მიზნებისთვის დაწესებულებამ მიმართა მეორად წყაროებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ, განხორციელდა ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევებისა და ანგარიშების ანალიზი, კერძოდ:

1. PMCG-ის კვლევა - ამ კვლევამ განიხილა უმუშევრობის დონე და დასაქმების მაჩვენებლები 2023 წლის სხვადასხვა კვარტალში. უმუშევრობის დონე კვლავ შემცირების ტენდენციას აჩვენებს, ხოლო დასაქმების მაჩვენებლები სტაბილურად იზრდება, რაც ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება;

2. LMIS პლატფორმის კვლევა - ეს მოიცავს პროფესიულ და სექტორულ ანალიზს, განსაკუთრებით მშენებლობის, ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ასევე, განხილულია რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალი და სამუშაოს ბაზრის ძირითადი მოთხოვნები;

3. GFA-ის შრომის ბაზრის ანგარიში - ეს კვლევა ყურადღებას ამახვილებს რეგიონული შრომის ბაზრების სპეციფიკაზე, მიგნებების და რეკომენდაციების ჩათვლით, რომლებიც ეხება პროფესიული განათლების გაუმჯობესებას და უნარების განვითარების საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე კოლეჯმა შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს ასევე იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით -საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2024. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთება ასევე ეყრდნობა საქართველოში არსებული დასაქმების ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების საშუალებით გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზს.

სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“ არის მრავალპროფილური კოლეჯი, რომლის მისიაა: „პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა."

საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი სრულ შესაბამისობაშია სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღის“ მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. სასწავლო პროგრამაში გამოყენებული სასწავლო მასალები და პრაქტიკული სწავლების მეთოდები განპირობებულია თანამედროვე ტექნოლოგიური ტენდენციებით, რაც ამყარებს კავშირებს ერთიან საგანმანათლებლო და პროფესიულ სივრცესთან. პროგრამა აერთიანებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას, რაც სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მიზნებთან: პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და სტუდენტების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით: პროგრამა განხორციელდება ინტეგრირებულად, რის შედეგადაც პროფესიულ სტუდენტს ექნება საშუალება სურვილის შემთხვევაში სწავლება განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში. ასევე აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა ეფუძნება კოლეჯის სტრატეგიულ განვითარების გეგმას, რომელიც კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით N01-04/13 არის დამტკიცებული და შეესაბამება სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიულ მიზანს. **ინდიკატორი 2.1.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას განაცხადი წარდგენილი აქვს როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, შესაბამისად ორივე შემთხვევისთვის განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. მოდულური სასწავლო გეგმით სწავლება ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო იმ სასწავლო გეგმით სწავლებაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია 26/06/2024 წლის N 01-04/107 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩარიცხვის წესი“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებით, რეგისტრაციით, შერჩევით, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებით და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მეცნიერების მინისტრის და 2024 წლის 24 ივნისის No110/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. **ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯში მოქმედებს 2022 წლის 14 იანვრის N01- 04/06 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაწესებულება იყენებს ერთ A სასწავლო გარემოს, ერთ B სასწავლო გარემოსა და სივრცეს ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით. თითოეული გარემო აღჭურვილია ინვენტარით 15 სტუდენტზე. ორ ცვლაში სწავლების განხორციელების გათვალისწინებით, ორ ჯგუფზე 15-15 სტუდენტის ოდენობით დაწესებულების რესურსი საკმარისია და სტუდენტთა გაანგარიშება შეესაბამება დაწესებულების მეთოდოლოგიას. კვოტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი. აღნიშნული გადამოწმდა ,,Front end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც სასწავლო, ისე მატერიალური რესურსების ფლობა. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A და B გარემოები, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისად. ექსპერტების მიერ ასევე გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. დადგინდა რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front end დეველოპმენტი" არ მოიცავს არჩევითი მოდულებს. **ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების პროცედურა ასევე შეესაბამება დაწესებულების მეთოდოლოგიას, კერძოდ მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს ხარისხის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/29 ბრძანებით. **ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „Front end დეველოპმენტი" სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე, მისაღწევი სწავლის შედეგებს. აქედან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი და ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front end დეველოპმენტი" შემუშავების საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი"-ს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ", საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" და არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდირებულ მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 88; კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 60; კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 118; კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front end დეველოპმენტი" შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს, მათ შორის ლოგიკურსაც, დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით N01-04/13 დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2. 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია";

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

4. დირექტორის 17/02/2025 N 01-04/29 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი";

5. 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" ;

6. 26/06/2024 წლის N 01-04/107 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი".

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „Front – End დეველოპმენტი“ განახორციელოს ქ. ქობულეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა №154 სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია კოლეჯის A/B/ გარემოში.

- A, B გარემო - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15;

ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის B გარემო პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15;

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.

სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 16 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, პროფესული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 15 სამუშაო მაგიდით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით, დაწესებულება **სრულ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას: კერძოდ „Front End დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის პსდ ჰყავს 20 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 3 პირი. 1 მასწავლებელი დარგობრივი ინგლისურისათვის. შესაბამისად, პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. **ინდიკატორი 2.2.1.2 შეფასდა როგორც შესაბამისი**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიღებულ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. **ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასდა როგორც შესაბამისი**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. აქტიურად უწევს კონსულტაციებს მოდულების განმახორციელებელ პირებს დარგის სიახლეებთან მიმართებით, ზრუნავს საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ სამკითხველოდ გამოყოფილ სივრცეში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს სპეციფიკის განსაზღვრა მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მოდულს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სსსმ პირების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათ შორის ხელმისაწვდომობას ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე. **ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე "Front end დეველოპმენტი" გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის (ერთ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტი) გათვლით ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება განაწილებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურებაზე, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯებზე. პროფესიული პროგრამის რენტაბელობის ზღვარი რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 9 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი ხოლო ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში 10 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან.ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას და **ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები სრულადაა დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
2. კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
4. პროგრამის ბიუჯეტი
5. დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის No01-04/77 ბრძანებით (ცვლილება 2023 წლის18 მაისი N01-04/94) „შინაგანაწესი“;
6.პროგრამის განმახორციელებლები ს პირადი საქმეები;
7. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
8.17/02/2025 წლის 01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და მისი მექანიზმები გამოიყენება კოლეჯის საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების უწყვეტი შეფასებისა და განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია შეაფასოს:

ა) კოლეჯში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობა;

ბ) რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) არსებული რეგულაციების გამართულობა, მოქნილობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა;

დ) კოლეჯის საქმიანობის შესაბამისობა დადგენილ რეგულაციებთან/სტანდარტებთან.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. პროგრამების განვითარების მიზნით, ხორციელდება მონაცემების შეგროვება და ანალიზი ამავე მექანიზმით გაწერილი პროგრამების შეფასების შესაბამისად და ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვადების გათვალისწინებით. პროგრამების განვითარება გულისხმობს პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების და ა.შ. მოდიფიცირებას. დაწესებულების დოკუმენტით სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები გათვალისწინებულია ძირითადი პროცესები და ქვეპროცესები. ძირითად პროცესებთან მიმართებით, ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია განახორციელოს ღონისძიებები სხვადასხვა სახის პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) განხორციელების, სასწავლო პროცესის და სხვა დამატებითი პროფესიულ სტუდენტებზე და მსმენელებზე ორიენტირებული სერვისების (მათ შორის საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ეფექტურობისა და სხვა სერვისების) ხარისხის შესაფასებლად. ასევე, მისი მიზანია იზრუნოს პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული დონის მუდმივ ზრდა-განვითარებაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარება. პროგრამების შეფასების ფარგლებში კვლევის მიზანია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან მოპოვებულ იქნას ცალკეული მოდულების/სწავლის შედეგების განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია და კვლევის შედეგად მიღებული შედეგები გამოყენებულ იყოს პროგრამების განვითარება/სრულყოფისთვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს, კურსდამთავრებულთა დასაქმებას და კოლეჯის პოპულარობის ზრდას. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შერეული (რაოდენობრივი და თვისებრივი) კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 13/06/2023 01-04/122) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე -განახორციელე-შეამოწმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და განავითარე“ და 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დაინტერესებული მხარეების კითხვარების ფორმები. **ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. კვლევების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულება ჩართულია EMIS - ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით. 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-6 და მე-7 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურებსა და ინიცირებებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული პირები. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მასში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. სასურველია მუხლი 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა დაზუსტდეს და მე-4 და მე-8 პუნქტები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და დაკონკრეტდეს. კერძოდ აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი არეგულირებს: „4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.|“ ხოლო მე-8 პუნქტის შესაბამისად: „8. კოლეჯს საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს პროგრამის დანართებში. მაგ, სასწავლო გეგმის დახვეწა/განვითარება, მატერიალური რესურსების, ნედლეული, მასალის, მოდულის განმახორციელებლების ცვლილებები. მოდულში თემატიკის, სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნება და ა.შ. ამ ტიპის ცვლილებების განხორციელებისას არ დგება ცენტრის ინფორმირების საჭიროება“. **ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/22 ბრძანება)ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
2. 2020 წლის 25 დეკემბრის N01- 04/222(ცვლილება 13/06/2023 01-04/122) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“,;
3. პროგრამებზე რეგისტრაციის, ჩარიცხვების, კვალიფიკაციის მინიჭების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები;
4. კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები;
5. ჩატარებული კვლევის შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, რასაც ადასტურებს დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები და დოკუმენტაციის შესწავლა. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისთვის „Front end დეველოპმენტი“ - შემუშავებულია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად. დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა (2 კვირა). გეგმით დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა. გეგმით განსაზღრულია ასევე ყველა მოდულისათვის, როგორც საკონტაქტო საათები ასევე საათები დამოუკიდებელი მუშაობისთვის და შეფასებისთვის. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად“, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს, ჩატარებულ კონსულტაციებს. პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე პროფესიული განათლების ცენტრი სათანადოდ და დროულად რეაგირებს მათ ინტერესებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე; იგეგმება შესაბამისი აქტივობები/ღონისძიებები სასწავლო პროცესის, რესურსის, გარემოს შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის იგულისხმება: სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში (დილა-საღამოს), მოქნილი სასწავლო გეგმისა და საათობრივი დატვირთვის ბადის (ცხრილის) შემუშავება, ონლაინ სწავლების ფორმატი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ინდივიდუალური კონსულტაციები, დამატებითი მეცადინეობები, მობილობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების აღიარება და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე. კოლეჯს ასევე გაწერილი აქვს დისტანციურად სწავლების განხორციელების პროცესი, თუმცა 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს 22-ე მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესსა და პირობებს. არ არის დაცული დოკუმენტის სტრუქტურა და სასურველია დაკორექტდეს. დოკუმენტი სასურველია გაიმართოს ტექნიკურად, კერძოდ თუ აღნიშნული წესი შეიცავს მუხლებსა და თავებს, მაშინ იგი წარმოადგენს ცალკე პროცედურას ან/და უნდა გაიმართოს ნუმერაცია.

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-4 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრავს: თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე კოლეჯში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ." სასურველი აღნიშნულ მუხლშიც დაკონკრეტდეს მობილობის უფლებით სარგებლობა და დაზუსტდეს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი სწავლების უზრუნველყოფის მექანიზმები. ამავე პროცედურის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) მიმართულების პროგრამის ფარგლებში. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ან მის უფლებამონაცვლეს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა" სასურველი მოვიდეს ამავე წესის მე-6 მუხლთან „მობილობა (შიდა და გარე მობილობა)" და დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა ისრგებლოს მობილობის უფლებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამავე პროცედურის მუხლი 10 არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ლექციიდან გათავისუფლების საკითხებს. სასურველია დაკონკრეტდეს აღიშნული წარმოადგენს თუ არა ამავე წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლის საფუძველს ან/და განისაზღვროს გათავისუფლების შემდგომი რეაგირების მექანიზმი. **ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც დასტურდება იმით, რომ პროფესიულ სტუდენტებს ინდივიდუალური წვდომა ექნებათ საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულებით განსაზღვრულ სასწავლო მასალებთან, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობასთან, ასევე, მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული მასწავლებელი გამოიყენებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესიულ სტუდენტებს დამატებით მიაწვდის ჰენდაუთებს ელექტრონულ ლინკებს, ლიტერატურას, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და დაეხმარება სტუდენტებს სასწავლო მასალის უკეთ გააზრებასა და ათვისებაში. **ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რასაც ადასტურებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმი და პროცედურები, ასევე განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, მის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. შესაბამისად, კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. **ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით იმიტირებულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განმახორციელებლებს და განიხილეს პრაქტიკული შედეგების მიღწევის შესაძლებლობები წარმოდგენილი მოდელით, რასაც ექსპერტები დაეთანხმნენ. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.4.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული პროგრამის მოდულები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულებაში, უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მიდგომებს არ საჭიროებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვსპრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. შრომისუსაფრთხოების წესები თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია როგორც A და B გარემოებში, ასევე ინტეგრირებული მოდულების განხორციელების სასწავლო სივრცეში. **ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა- „ Front-end დეველოპმენტი“
2. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი - 17/02/2025 წლის 01-04/30 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის უსაფრთხოების წესი
3. 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით. კოლეჯში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/21 ბრძანება) დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, მე- 14, მე-15 და მე-16 მუხლებში. კერძოდ, ამ წესის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის ერთერთ კოორდინატორს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 და მე-14[1] მუხლებით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეიცვლება, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. აქვე აღწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, თუ როგორ ხდება დუალურ პროგრამაზე შეფასება, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის N48/ნ ბრძანებასთან. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელი/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს შეფასების ვალიდაციის პროცესი, სასურველია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-14 მულის მე-9 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს: „პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას“, სასურველია დაკონკრეტდეს იმ მოდულების შეფასების ვალიდაციის პროცესი, რომელსაც ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 13/06/2023 01- 04/122) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.

შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებია:

- ნამდვილობის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
- შეფასების, შემოწმების პროცედურა;
- სტანდარტის შედარება ფაქტებთან, არსებულ ვითარებასთან.

შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტები, დარგის სპეციალისტები. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით. ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც დასტურდება სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, მე-14 მუხლის 33-ე და 34-ე პუნქტების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია, რომ:

„33. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

34. მტკიცებულებები, სტუდენტთა პორტფოლიოები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.“

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტების შესწავლის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გამართული შეხვედრების, გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე იცვლება და უმჯობესდება შეფასების ინსტრუმენტისა და კალენდარული გეგმების ფორმები, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დამატებითი კონსულტაციებით, საინფორმაციო შეხვედრებით როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე, დარგის მოწვეულ სპეციალისტებთან სხვადასხვა საჭიროებების მიმართულებებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტზე მეტად ორიენტირებული, ადაპტირებული, განმავითარებელი სასწავლო გარემოს შექმნას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01- 04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდების, უწყისები და მტკიცებულებები;
4. კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
5. გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები - 2020 წლის 13 ივლისის No01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/21 ბრძანება) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
6. 2020 წლის 25 დეკემბრის N01- 04/222(ცვლილება 13/06/2023 01-04/122) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16 აპრილი 2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: